ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲬᲜᲔᲕᲐ ᲒᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ?

ᲰᲘ�პᲔᲠᲢᲝᲜᲘᲐ (ᲐᲠᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲰᲘ�პᲔᲠᲢᲔᲜᲖᲘᲐ) ᲫᲐᲚᲘᲐᲜ �გᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲛᲣᲦᲐᲕᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲘ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲓᲐᲓᲠᲝ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲔᲡ ᲡᲘᲡᲣᲡᲢᲔ, ᲧᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ, ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲪᲔᲛᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ — ᲔᲡ ᲡᲘᲛᲞᲢᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲦᲚᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲮᲡᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲙᲘᲗᲮᲝᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲘ, ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪᲗᲣ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲬᲕᲔᲕᲡ ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲡ ᲐᲜ ᲘᲜᲡᲣᲚᲢᲡ. ᲛᲐᲦᲐᲚ ᲐᲠᲢᲔᲠᲘᲣᲚ ᲬᲜᲔᲕᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ. ᲗᲣ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲘᲥᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲚᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲐ ᲣᲬᲐᲛᲚᲝᲓᲐᲪ ᲙᲘ.

წნევის უეცარი მატება შეიძლება ნებისმიერ ადამიანსაც კი აღენიშნებოდეს, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ძლიერი ემოციური განცდები, უეცარი და სერიოზული ფიზიკური დატვირთვა, უძილობა ან სხვა არასასურველი ფაქტორები. თითოეული ამ სიმპტომის გამომწვევია სტრესული ჰორმონი — ადრენალინი, რომელიც აიძულებს გულს, ხშირად შეიკუმშოს, ხოლო სისხლძარღვები ვიწროვდება, შედეგად კი მოსალოდნელია, სისხლის წნევამ მოიმატოს საშიშ ზღვრამდე...

ადრენალინთან ბრძოლაში დაგეხმარებათ ჰაერზე ფეხით სეირნობა ან მსუბუქი გარბენა. ამ დროს მშვიდდება ნერვები და სისხლი ივსება ჟანგბადით.

წნევას დაბლა სწევს ფიტოთერაპია. ჰიპერტონიის დროს სასურველია, დამამშვიდებელი, ძარღვების გამაფართოებელი და შარდმდენი ბალახების მიღება. მაგალითად: შავბალახა, კატაბალახა, ბარამბო, წიწმატურა, კუნელი და ასკილის ნაყოფი, შვიტა, პიტნა, თირკმლის ჩაი. სხვათა შორის, მაღალ წნევას დაბლა სწევს, თუ ყოველდღე შეჭამ ერთ კბილ ნიორს — მისი შემადგენელი ნივთიერება ალიცინი ხსნის სისხლძარღვების სპაზმებს და ამცირებს თრომბის წარმოქმნის რისკს.

არტერიული წნევის დროს რეკომენდებულია ფეხების ცხელი აბაზანები (თუ თრომბი ან ვენების გაგანიერება არ გაწუხებთ). კიდევ უფრო ეფექტურია კონტრასტული აბაზანები. პირველად ფეხები ჩაანყვეთ ცხელ წყალში, შემდეგ 30 წამი — ცივში. ასე ცვალეთ წყლის ტემპერატურა 10 წუთის განმავლობაში.

სხვათა შორის, სამკურნალო ბალახებს ძალუძთ ჰიპერტონიის მძიმე ფორმის დროსაც კი შეამცირონ წამლების მიღების დოზირება და ეხმარებიან არტერიული წნევის დასტაბილურებაში.

გახსოვდეთ: ფიტოთერაპიით მკურნალობის დაწყებამდე რჩევა ჰკითხეთ მკურნალ ექიმს.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲔᲢᲐ

ᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲐᲦᲜᲐᲒᲝᲑᲐ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲘᲛ ᲐᲡᲐᲙᲝᲠᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲐᲡᲐᲙᲡ — ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲕᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

20 წლამდე ორგანიზმი იზრდება და ყალიბდება, ამიტომაც საკვებში გათვალისწინებული უნდა იყოს ვიტამინები, მინერალები და ცილები, ასევე: ცხოველური ცხიმები, ყველი, რძის პროდუქტები და ა.შ. ცხიმები არის სწორი აღნაგობის ფორმირების, ენდოკრინული და ნერვული სისტემების ჩამოყალიბებისა და სქესობრივი მომწიფების წყარო. 20-დან 30 წლამდე ასაკში აქტიურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა, ორგანიზმი ადვილად უმკლავდება ზედმეტ წონას. ამ პერიოდში მნიშვნელოვანია ბალანსირებული კვება. იდეალური შერწყმაა — ნახშირწყლების, ცხიმებისა და ცილების — 60%-20%-20%-ზე. მეტად მნიშვნელოვანია რაციონში ვიტამინებისა და მიკროელემენტების, განსაკუთრებით A ვიტამინის რკინის შემცველი პროდუქტების გათვალისწინება.

30-დან 40 წლამდე ასაკი, განსაკუთრებით ქალებისთვის, ის პერიოდია, როდესაც ისინი წონაში იმატებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზია ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი, ფარისებრი ჯირკვლების დაავადება, საკვერცხეების დისფუნქცია, უკონტროლოდ, მუდმივად წახემსება. ამ ასაკში მეტად მნიშვნელოვანია ექიმების მიერ შეფასდეს ჯანმრთელობა და წონაში მომატების მიზეზები. დიეტა უნდა დაიცვან პრინციპით: „ყველაფერი შეიძლება, მხოლოდ ცოტა“.

40-დან 50 წლამდე ასაკში, შენელებული ნივთიერებათა ცვლის პროცესების შედეგად, ზედმეტი ცხიმი გროვდება პრობლემურ ზონებში, რომლის მოშორებაც ძალიან ძნელია. ამ პრობლემებს რომ თავი გაართვათ, მირთვით ინდაურის, ქათმის თეთრი ხორცი, თევზი. მენიუდან ამოიღეთ ფასტფუდები, უმაღლესი ხარისხის თეთრი პური, შემწვარი, ცხიმიანი და შებოლილი პროდუქტები. მიირთვით ბურღულეული, ხილი და ახალი ბოსტნეული.

50 წლის ზევით არ დაიცვათ დიეტა დიეტოლოგისა და ენდოკრინოლოგის კონსულტაციის გარეშე. მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია შეგიდგინოთ კვების, ორგანიზმის გაწმენდის და გაახალგაზრდავების ინდივიდუალური პროგრამა.

ქოლესტერინის და გლუკოზის აპარატები

აპარატ "იზიტაჩის გქ"-ის დახმარებით- უარი უთხარით მიოკარდიუმის ინფარქტსა და ათეროსკლეროზს!

აკონტროლეთ თქვენი ჯამრთელობა !!!
იზრუნეთ მომავალზე !!!

მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)
ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲔᲙᲣᲚᲔᲑᲘ

რადგან უჟანგბადოდ სიცოცხლე არ შეგვიძლია, ბუნებამ გამოგვინახა დაცვა — ანტიოქსიდანტები, რომლებსაც გამოჰყავთ მწყობრიდან თავისუფალი რადიკალები.

ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, რომ ვცხოვრობდეთ ეკოლოგიურად სუფთა პირობებში, ვჭამდეთ ჯანმრთელ საკვებს, არ ვნერვიულობდეთ, არ ვიღლებოდეთ, უკონტროლოდ არ ვიღებდეთ წამლებს, არ ვიკვებებოდეთ ფასტფუდებითა და კონსერვებით — ყველაფერი ეს ხელს უწყობს თავისუფალი რადიკალების გაორმაგებული სიჩქარით წარმოქმნას, ამ დროს ანტიოქსიდანტები ვერ ასწრებენ მათ შეკავებას, ისინი აზიანებენ უჯრედების მემბრანებს, აფერხებენ სასიცოცხლო პროცესებს. შედეგად, ორგანიზმი ბერდება.

ჩვენ გარს გვარტყია ბუნებრივი ანტიოქსიდანტები, რომელთა უკმარისობას განსაკუთრებით განიცდიან ალერგიულები, ვინც იშვიათად იმყოფება ჰაერზე, დროულად არ იკვებება ან გატაცებულია ექსტრემალური დიეტებით.

ბუნებრივი ანტიოქსიდანტები:

C ვიტამინი თავის ტვინისა და უჯრედშორის სითხის მთავარი ანტიოქსიდანტია. მას შეიცავს: ბროკოლი, კომბოსტო (მწნილიც), კივი, ნესვი, ასკილი, ალუბალი, შავი მოცხარი.

E (ალფა-ტოკოფეროლი) ვიტამინი ითვლება ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ვიტამინად. შეიცავს: ხორბლის ღივი, ნუში, თხილი, კარაქი და მცენარეული ზეთი, კვერცხის გული, ქაცვი, ბურღულეული, პური.

A (რეტინოლი) ვიტამინის უკმარისობა აქვეითებს თავისუფალი რადიკალების წინააღმდეგ ორგანიზმის ბრძოლის უნარს. მას შეიცავს რძე, კვერცხის გული, თევზის ქონი, ღვიძლი, ყველი, კარაქი.

ვიტამინ *ბეტა-კაროტინის* უკმარისობა იმასვე იწვევს, რასაც იწვევს A ვიტამინის დეფიციტი. მას შეიცავს როგორც მოყვითალო, ნარინჯისფერი, ისე მწვანე ბოსტნეული — სტაფილო, კარტოფილი, პომიდორი, ბროკოლი, ისპანახი, ოხრახუში, სატაცური, გოგრა, პაპაი, გარგარი, ნესვი, ქაცვი.

სელენი შინაგანი ანტიოქსიდანტური დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რომლის არსებობაც ხშირად ავიწყდებათ. მას შეიცავს: ზღვის პროდუქტები, თირკმლები, ღვიძლი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *წითელი ღვინო*, რომლის წიპწები და კანი შეიცავს ძალიან ძლიერ ანტიოქსიდანტს რესვერატროლს, რომელიც ხელს უშლის ათეროსკლეროზისა და კიბოს განვითარებას, ხელს უწყობს დიდხანს მეხსიერების შენარჩუნებას (დღიური ნორმაა ერთი ბოკალი).

ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ „ᲙᲐᲛᲔᲚᲘᲜᲘᲗ“ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲗᲔᲠᲐᲞᲘᲣᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ

30 მარტს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა „ჯანდაცვის პროფესიონალთა ლიგის“ პირველი გაერთიანებული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ მედიცინაში მოღვაწე წამყვანი სპეციალისტები (რეპროდუქტოლოგია, სტომატოლოგია, პედიატრია) და ფარმაცევტული კომპანიები, მათ შორის ფარმაცევტული კომპანია „კამელინიც“, რომლის დირექტორმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა კობა გურიელიძემ წარმოადგინა პრეპარატ „კამელინზე“ განხორციელებული კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევების შედეგები როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო და სამედიცინო ცენტრებში. ბ-ნ კობა გურიელიძის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელთა მხრიდან, პროფესორი ლეილა აწყვერელი, რომელიც ინფორმირებული გახლდათ პროფესორ ბორის კორსანტიასგან, დაინტერესდა „კამელინის“ იმუნომამოდულირებელი თვისებებით. საქართველოში „კამელინის“ იმუნომამოდულირებელი თვისება კლინიკური კვლევების საფუძველზე (ტუბერკულოზის, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიებისა და სტომატოლოგიური დაავადების დროს) სწორედ თსსუ-ის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის იმუნორეაბილიტაციის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ბორის კორსანტიამ შეისწავლა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა „კამელინით“ მკურნალობის მაღალი თერაპიული ეფექტი და უპირატესობა სხვა ტრადიციულ მკურნალობასთან მიმართებაში. დასმული იყო შეკითხვები, რომელზეც ამომწურავი პასუხის გაცემა რეგლამენტის გამო შეუძლებელი გახდა, დისკუსიაში აქტიურად ჩაერთო ბალნეოლოგიური კურორტის ექიმი რევმატოლოგი, პროფესორი თამარ ჩილინგარიშვილი, რომლის მონაწილეობით განხორციელდა პრეპარატ „კამელინზე“ კლინიკური კვლევები ოსტეოქონდროზით და ოსტეოართრიტით დაავადებულ პაციენტებზე. მოგეხსენებათ ბალნეოლოგიური კურორტი ორიენტირებულია ბუნებრივი საკურორტო და პრეფორმირებული ფიზიკური ფაქტორების გამოყენებით მკურნალობაზე, რადგან „კამელინი“ ბუნებრივი პრეპარატია, ამიტომ გადაწყდა კლინიკური კვლევები განხორციელებულიყო რევმატიული დაავადებების დროს ფიზიოთერაპიულ საშუალებებთან ერთად „კამელინ მ1“ ხსნარის ელექტროფორეზი და „კამელინ მ3“ მალამოს ულტრაფონოფორეზი. ქ-ნ-მა თამარმა ისაუბრა იმ შედეგებზე, რომელიც მიღწეული იქნა კვლევების შედეგად, კერძოდ, მკურნალობის მოსალოდნელი ეფექტის გაძლიერებასა და ხანგრძლივ რემისიაზე, გვერდითი მოვლენების გარეშე; ტკივილის სრული კუპირება, მოძრაობის მკვეთრი გაუმჯობესება

როგორც სუბიექტური ჩივილების, ისე ობიექტური მონაცემების დადებითი დინამიკა, რაც გამოვლინდა EDS-ის და CRP-ის მაჩვენებლის სარწმუნო დაქვეითებით, ექოსკოპიური მონაცემების გაუმჯობესებით, ანთებითი სითხის გაქრობით ან მკვეთრად შემცირებით. პრეპარატი „კამელინი“ ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს როგორც მეცნიერთა, ასევე პრაქტიკოს ექიმთა მხრიდან. კომპანია „კამელინი“ დაარსების დღიდან მზად არის ნებისმიერ დაინტერესებულ ექიმს გააცნოს კვლევებზე დაყრდნობით მიღებული შედეგები.

კომპანია „კამელინი“ ასევე ფლობს უკანასკნელი სამი წლის მანძილზე დაგროვილ პაციენტთა ავადმყოფობის დოკუმენტალურად დადასტურებულ ინფორმაციებს. უამრავია პროსტატის ჯირკვლის ადენომის, ფილტვის, მკერდის, საშვილოსნოს სიმსივნის დაიგნოზით განკურნებულ პაციენტთა რიცხვი. არის დიდი მოთხოვნა და ინტერესი საბერძნეთიდან, ფოსტითაც იღებენ წერილებს და საჭიროებისამებრ კომპანიის კონსულტანტი ექიმები აძლევენ რჩევებს, მოსკოვიდანაც ფლობენ პაციენტთა მონაცემებს, რომლებიც მადლობის წერილებთან ერთად ნებას რთავენ კომპანიას, გამოიყენონ მათი ავადმყოფობის ისტორიები პუბლიკაციებსა და კონფერენციებზე.

სენსაციური შედეგი გახლდათ საყლაპავის სიმსივნის, საყლაპავის კარცინომის დიაგნოზის მქონე პაციენტის შემთხვევაში. კომპიუტერული ტომოგრაფიითა და სისხლის ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე აღმოაჩნდა მეტასტაზები ლავიწის ზედა არეში და კისრის მიდამოში. სხივური და ქიმიოთერაპიის კომბინაცია უეფექტო აღმოჩნდა, გადაწყდა გერმანიაში ქირურგიული ოპერაცია, სწორედ ამ დროს პაციენტმა ახლობლის რჩევით გადაწყვიტა „კამელინის“ ხმარება. პირადად კომპანიამ იზრუნა იმისთვის, რომ პაციენტს დროულად მიწოდებოდა საქართველოდან „კამელინის“ ამპულები კაფსულებთან ერთად. ზედიზედ ჩატარდა 6 კურსი, პაციენტის მკურნალი ექიმი ყოველდღიურად სატელეფონო კავშირში იმყოფებოდა კომპანია „კამელინის“ კონსულტანტ ექიმებთან. მოხდა გამაოგნებელი რამ, მეტასტაზები ზომაში მეორე კურსიდანვე შემცირდა, საბოლოოდ კი სრულიად ალაგდა, პაციენტი დღეს შრომისუნარიანია და მხოლოდ პროფილაქტიკური მიზნით იღებს „კამელინ მ2“-ის კაფსულებს. ერთ-ერთ პაციენტს, პიატიგორსკიდან, გასული წლის მარტში კომპიუტერული ტომოგრაფიით დაუდგინდა ხორხის სიმსივნის დიაგნოზი: ხორხის ზედა და ხორხის წინა ცხიმოვანი უჯრედების პროექციაში აღენიშნებოდა ცენტრისკენ მდებარე არასწორი მომრგვალო ფორმის სიმსივნური წარმონაქმნი, ზომით 25-30მმ. პაციენტმა ჩაიტარა მკურნალობის კურსი, მაგრამ მდგომარეობა უფრო დამძიმდა. პაციენტი ჩვენი კომპანიის ვებგვერდის საშუალებით გაეცნო „კამელინის“ კვლევებს და კონსულტაციების შედგომ გადაწყვიტა ჩაეტარებინა მკურნალობა „კამელინი მ 1“ — ინიექციითა და „კამელინი მ 2“ — კაფსულებით. 20-დღიანი კურსის გავლის შემდეგ პაციენტს გაუკეთდა განმეორებითი ანალიზები, რომლის შემდეგ ექიმები განცვიფრებულები დარჩნენ, სიმსივნური წარმონაქმნი ზომაში 15%-ით იყო შემცირებული. აქედან გამომდინარე, პაციენტმა გააგრძელა „კამელინით“ მკურნალობის კურსი. ამა წლის 27 იანვარს კვლავ განმეორებით ჩაიტარა ტომოგრაფიული კვლევა, რომელმაც აჩვენა სიმსივნის სრული გაქრობა.

მაია ცომაია

R

2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33;
www. Camelyn.ge E-mail: info@camelyn.ge